



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 45



2011 წლის 15 აპრილი
ქალაქი ხაშური

სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 12 აპრილს (სატენდერო განცხადება (SPA 110010174) და 2011 წლის 15 აპრილს (SPA 110010645) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერები სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვაზე, რომლებიც არ შედგა. სამუსიკო სკოლის აღსაზრდელების კლასიკური მუსიკის მე-4 ფესტივალ – კონკურსში „იპოვე შენი ვარსკვლავი“ გალა კონცერტში მონაწილეობამდე რჩება ორი დღე. მონაწილეთა გადაყვანა დაუყოვნებლივ განსახორციელებელია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვა სამუსიკო სკოლის აღსაზრდელების კლასიკური მუსიკის მე-4 ფესტივალ – კონკურსში „იპოვე შენი ვარსკვლავი“ გალა კონცერტში მონაწილეობის მისაღებად ქალაქ ხაშურიდან ქალაქ თბილისში გადასაყვანად და უკან.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ.ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

